საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/83

ქ. ბათუმი 06 სექტემბერი, 2022 წ.

„2022-2023 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N06-01/57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 22 0001003181, 05.09.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება 2022-2023 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტში (ნაცვლად 10-სა განისაზღვროს 13 -ით) და აღნიშნულის გათვალისწინებით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N06-01/57 დადგენილების N1 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი, თანდართული რედაქციით **(დანართი N1).**
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დადგენილება გადაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
4. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„„2022-2023 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N06-01/57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის
№ 06-01/83 დადგენილების
დანართი 1.

2022-2023 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი

№	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	მისაღები კონტიგენტი (ადგილების რაოდენობა)
1.	ბიზნესის ადმინისტრირება	13
2	ისტორია	3
3	ბიოლოგია	7
4	ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი	2
5	ფიზიკა	1
6	განათლების მეცნიერებები	1